

შპს „რობერტ ბოში“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები
მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის
(მსს ფასს–ის) მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2024 წ.

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. კომპანია და მისი ოპერაციები	5
2. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	11
4. ძირითადი საშუალებები	13
5. მარაგები	13
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14
8. საწესდებო კაპიტალი	15
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
10. ამონაგები	15
11. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	15
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16
13. დისტრიბუციის ხარჯები	16
14. სხვა საოპერაციო ხარჯები	16
15. სხვა საოპერაციო შემოსავალი	16
16. პირობითი ვალდებულებები	17
17. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები	17
18. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	18

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „რობერტ ბოშის“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „რობერტ ბოშის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას



**Building a better
working world**

- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

თბილისი, საქართველო

2025 წლის 3 სექტემბერი

შპს „რობერტ ბოში“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(რიცხვები ლარშია მოცემული)

	შენიშვნები	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	161,967	215,700
ძირითად საშუალებებში გადახდილი ავანსები		35,311	–
სულ გრძელვადიანი აქტივები		197,278	215,700
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	3,330,645	3,558,179
გადახდილი ავანსები		59,355	30,620
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,294,882	1,073,782
სხვა საგადასახადო მოთხოვნები		222,270	60,895
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	3,306,742	1,600,570
სულ მოკლევადიანი აქტივები		8,213,894	6,324,046
სულ აქტივები		8,411,172	6,539,746
საკუთარი კაპიტალი	8		
საწესდებო კაპიტალი		2,636,275	2,636,275
გაუნაწილებელი მოგება		2,094,547	2,650,953
სულ საკუთარი კაპიტალი		4,730,822	5,287,228
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები		235,304	172,200
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	3,219,865	929,998
დასაქმებულებზე გასაცემი ხელფასები		180,115	113,843
სხვა ვალდებულებები		45,066	36,477
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,680,350	1,252,518
სულ ვალდებულებები		3,680,350	1,252,518
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		8,411,172	6,539,746

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 3 სექტემბერს:

Michael_
Chikovani

Digitally signed by
Michael_Chikovani
Date: 2025.09.03
13:54:08 +04'00'

Anano_Dz
otsenidze

Digitally signed by
Anano_Dzotsenidze
Date: 2025.09.03
13:39:09 +04'00'

მიქაელ ჩიქოვანი

გენერალური დირექტორი

ანანო ძოწენიძე

ფინანსური კონტროლერი

5–18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „რობერტ ბოში“

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(რიცხვები ლარშია მოცემული)

	შენიშვნები	2024	2023
ამონაგები	10	26,261,747	25,058,050
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	11	(21,620,103)	(20,252,078)
საერთო მოგება		4,641,644	4,805,972
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(2,071,111)	(1,273,203)
დისტრიბუციის ხარჯები	13	(614,455)	(606,237)
სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(1,511,853)	(1,477,015)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	15	467,808	141,051
საოპერაციო მოგება		912,033	1,590,568
ფინანსური დანახარჯები		(50,492)	(86,180)
მოგება დაბეგვრამდე		861,541	1,504,388
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(230,083)	(106,901)
წლის წმინდა მოგება		631,458	1,397,487
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		631,458	1,397,487

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 3 სექტემბერს:

Michael_
Chikovani

Digitally signed by
Michael_Chikovani
Date: 2025.09.03
13:54:22 +04'00'

Anano_Dz
otsenidze

Digitally signed by
Anano_Dzotsenidze
Date: 2025.09.03
13:39:36 +04'00'

მიქაელ ჩიქოვანი

გენერალური დირექტორი

ანანო ძოწენიძე

ფინანსური კონტროლერი

5-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „რობერტ ბოში“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(რიცხვები ლარშია მოცემული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,636,275	1,859,239	4,495,514
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	1,397,487	1,397,487
გამოცხადებული დივიდენდები (მე-8 შენიშვნა)	–	(605,773)	(605,773)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,636,275	2,650,953	5,287,228
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	631,458	631,458
გამოცხადებული დივიდენდები (მე-8 შენიშვნა)	–	(1,187,864)	(1,187,864)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,636,275	2,094,547	4,730,822

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 3 სექტემბერს:

Michael_
Chikovani

Digitally signed by
Michael_Chikovani
Date: 2025.09.03
13:54:35 +04'00'

Anano_Dz
otsenidze

Digitally signed by
Anano_Dzotsenidze
Date: 2025.09.03
13:41:12 +04'00'

მიქაელ ჩიკოვანი

გენერალური დირექტორი

ანანო ძოწენიძე

ფინანსური კონტროლერი

5-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „რობერტ ბოში“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(რიცხვები ლარშია მოცემული)

	შენიშვნები	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება დაბეგვრამდე		861,541	1,504,388
<i>არაფულადი შემოსავლის და ხარჯების კორექტირებები:</i>			
ცვეთის ხარჯი	4	58,468	47,606
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების დარიცხვა	6	16,155	62,851
მარაგების ანარიცხების დარიცხვა	5	68,837	21,725
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი		144,665	159,246
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		1,149,666	1,795,816
ცვლილება მარაგებში		158,697	(785,916)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(28,735)	(11,607)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(243,401)	(98,629)
ცვლილება მიღებულ ავანსებში		63,104	(157,667)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		2,194,730	627,918
ცვლილება სხვა ვალდებულებებში		8,589	27,727
ცვლილება დასაქმებულთა მიმართ ვალდებულებებში		66,272	(2,692)
ცვლილება სხვა საგადასახადო მოთხოვნებში		(161,375)	115,288
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებების შემდეგ		3,207,547	1,510,238
გადახდილი მოგების გადასახადი	8	(230,083)	(106,901)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		2,977,464	1,403,337
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	4	(40,046)	(175,030)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(40,046)	(175,030)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
გადახდილი დივიდენდები	8	(1,187,864)	(605,773)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,187,864)	(605,773)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		1,749,554	622,534
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(43,382)	(69,922)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,600,570	1,047,958
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	3,306,742	1,600,570

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 3 სექტემბერს:

Michael Chikovani

Digitally signed by Michael_Chikovani
Date: 2025.09.03
13:54:49 +04'00'

Anano_Dzotsenidze

Digitally signed by Anano_Dzotsenidze
Date: 2025.09.03
13:41:56 +04'00'

მიქაელ ჩიქოვანი

გენერალური დირექტორი

ანანო ძოწენიძე

ფინანსური კონტროლერი

5-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. კომპანია და მისი ოპერაციები

შპს „რობერტ ბოში“ (შემდგომში „კომპანია“) (საიდენტიფიკაციო ნომრით: 404405390) 2011 წლის 14 ივლისს საქართველოში დარეგისტრირებული და მოქმედი კომპანიაა. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის უშუალო მშობელი საწარმო არის „Robert Bosch Investment Nederland B.V.“ (შემდგომში „მფლობელი“), შუალედური მშობელი საწარმო არის „Robert Bosch GmbH“, ხოლო საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის „Robert Bosch Stiftung GmbH Stuttgart“. სამეწარმეო მართვის ფუნქციებს ასრულებს „Robert Bosch Industrietreuhand KG Stuttgart“.

„Robert Bosch GmbH“-თან გაფორმებული დისტრიბუციის ხელშეკრულების თანახმად, კომპანია ყიდულობს მარაგებს, კერძოდ ელექტროხელსაწყოებს და სათადარიგო ნაწილებს და ყიდის კავკასიის რეგიონში. კომპანიამ საქონლის გაყიდვა, როგორც მისი ამონაგების მთავარი წარმომქმნელი საქმიანობა, დაიწყო 2015 წელს. საქმიანობის კიდევ ერთი მიმართულებაა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისთვის სხვადასხვა მომსახურების გაწევა, „Robert Bosch GmbH“-სთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების თანახმად. ეს მომსახურება მოიცავს შემდეგს: კონსულტაცია, თარგმნა, ტექნიკური პირობების შედგენა, სერტიფიცირების მიღებაში დახმარება, ბაზრის კვლევა, გაყიდვის შემდგომი მომსახურება და „რობერტ ბოშის“ პროდუქტების სხვა მხრივ მხარდაჭერა კავკასიის რეგიონში ბრენდის იმიჯის და მომხმარებლების ლოიალურობის გასაუმჯობესებლად.

კომპანიის იურიდიული და ფიზიკური მისამართია: დ. აღმაშენებლის ქ 61, თბილისი, საქართველო.

2022 წლის თებერვალში გეოპოლიტიკური დამაბულობის ესკალაციამ და უკრაინასთან დაკავშირებულმა კონფლიქტმა უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე. სიტუაცია ჯერ კიდევ იცვლება. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. კომპანიის ხელმძღვანელობა შექმნილ ვითარებაში ეკონომიკურ მდგომარეობას თვალს ადევნებს.

2. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

მომზადების საფუძველი

კომპანიის ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) მიხედვით და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების თანახმად. ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული კრიტიკული მნიშვნელობის სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას. ის საკითხები, რომლებიც საჭიროებს განსჯის შედარებით მაღალ დონეს ან ხასიათდება სირთულით, ან ის საკითხები, რომელთა შემთხვევაშიც ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანია დაშვებები და წინასწარი შეფასებები, წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

2. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

წარსადგენი ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“) თუკი სხვა რამე არ არის მითითებული და დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

უცხოური ვალუტის გადაყვანა

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შესული მუხლები გამოსახულია იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც ეს საწარმო საქმიანობს (შემდგომში „სამუშაო ვალუტა“). კომპანიის სამუშაო ვალუტა ლარია.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს მოთხოვნამდე ანაზღაურებას და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი მაქსიმალური ვადა სამი თვეა.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ღირებულება მოიცავს უშუალოდ მასალებისა და, შესაბამის შემთხვევებში, შრომის პირდაპირ დანახარჯებს და იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა მარაგების მათ ამჟამინდელ მდებარეობასა და მდგომარეობამდე მისაყვანად. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება „ფიფოს“ (პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში) მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეული საქმიანობის პროცესში, რომელსაც აკლდება დასრულების და გაყიდვის ხარჯი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია პირვანდელი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. პირვანდელი ღირებულება მოიცავს იმ დანახარჯებს, რომელთა პირდაპირ მიკუთვნებაც შეიძლება აქტივის ისეთ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანისთვის, რომ მან შეძლოს ხელმძღვანელობისთვის სასურველი ფორმით ფუნქციონირება.

კომპანია ძირითადი საშუალებების ერთეულის საბალანსო ღირებულებას უმატებს ამ ერთეულის ნაწილების შეცვლის ხარჯს, როდესაც ეს ხარჯი გაიწევა, თუ მოსალოდნელია, რომ შეცვლილი ნაწილი კომპანიას დამატებით სარგებელს მოუტანს მომავალში. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

2. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასვლის დროს ან მაშინ, როდესაც, მისი ექსპლუატაციის ან გასვლის შედეგად, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც წმინდა გასვლის ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

ყველა დანარჩენი სარემონტო და ტექნიკურ-სამეურნეო ხარჯი აისახება იმ პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, რომლის განმავლობაშიც ის გაიწია.

სხვა აქტივებზე ცვეთის დარიცხვა იმგვარად ხდება, რომ აქტივების თვითღირებულება, მათი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, გადანაწილდეს მათ სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადებზე, ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადებია:

ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა
სატრანსპორტო საშუალებები

3–12 წელი
6 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, პერსპექტიულად კორექტირდება, თუ არსებობს ბოლო საანგარიშგებო თარიღიდან მნიშვნელოვანი ცვლილების ნიშნები.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი სავარაუდო ანაზღაურებადი ღირებულება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას ან ამორტიზაციას ფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა აქტივების გაუფასურების ნიშანი. თუ არსებობს იმის ნიშანი, რომ აქტივი შეიძლება გაუფასურებული იყოს, გაუფასურების დასადგენად მოწმდება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელზეც აქტივი განაწილებულია) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ ოდენობით, რამდენითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება და გამოყენების ღირებულება. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივები დაჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომლისთვისაც არსებობს ცალკე იდენტიფიცირებადი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივები, გუდვილის გარდა, რომლებმაც განიცადეს ცვეთა, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაიხედება გაუფასურების შესაძლო გაუქმებისთვის.

2. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება

ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მისაღებ თანხებს, რომლებიც აღირიცხება ფასდაკლებების, დაბრუნებების და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს მაშინ, როდესაც შესაძლებელია ამონაგების თანხის სარწმუნოდ შეფასება, როდესაც მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და როდესაც კონკრეტული კრიტერიუმები დაკმაყოფილებს კომპანიის ყოველი საქმიანობისთვის, ქვემოთ აღწერილის შესაბამისად. თუ ბარტერული ოპერაციის ფარგლებში მიღებული საქონლის სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ შეფასება შეუძლებელია, ამონაგები ფასდება დათმობილი საქონლის სამართლიანი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვა. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადაიცემა, როგორც წესი, საქონლის მიწოდების მომენტში. თუ კომპანია დათანხმდება საქონლის ტრანსპორტირებას კონკრეტულ ადგილზე, ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა დანიშნულების ადგილზე მყოფ კლიენტს.

მიმდინარე მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები აღრიცხულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისთვის. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილება მოგების დაბეგვრის არსებულ მოდელში. ცვლილება ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიულ პირზე, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა. შეცვლილი მოდელის მიხედვით, გაუნაწილებელი მოგება დაიბეგრება ნულოვანი საგადასახადო განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგება 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით. წინა მოდელის მიხედვით, 15%-იანი საგადასახადო განაკვეთი ვრცელდებოდა კომპანიის დასაბეგრ მოგებაზე განურჩევლად იმისა, მას გაუნაწილებლის სტატუსი ჰქონდა თუ განაწილებულის.

მოგების გადასახადის ახალი წესები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვრცელდება კომპანიაზე. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც ფაქტობრივი, ისე პირობითი მოგების განაწილებას, მათ შორისაა:

- ▶ განაწილებული მოგება;
- ▶ გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- ▶ უსასყიდლოდ საქონლის/მომსახურების მიწოდება ან/და ფულადი სახსრების გადარიცხვა;
- ▶ საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

განაწილებული მოგების გადასახადის აღიარება ხარჯად ხდება დივიდენდების გამოცხადების მომენტში და აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების „მოგების გადასახადის“ მუხლში. მიმდინარე საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულებები მიმდინარე და წინა პერიოდებისთვის ფასდება იმ თანხის ოდენობით, რომლის საგადასახადო ორგანოებისგან მიღება ან საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდაა მოსალოდნელი.

2. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

მიმდინარე მოგების გადასახადი (გაგრძელება)

ზემოთ აღწერილი განაწილებული მოგების გარდა სხვა დაკისრებული გადასახადი აღირიცხება „სხვა საოპერაციო ხარჯების“ სახით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

დაბეგვრის კონცეფციის ცვლილების გამო ტერმინი „აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზა“ კარგავს თავის ეკონომიკურ მნიშვნელობას და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივების განმარტება ბასს 12-ის „მოგების გადასახადი“ შესაბამისად, არ მოქმედებს მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელის მიხედვით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

ნაწარმის გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადაიხდება მომხმარებლებისთვის საქონლის მიწოდებისთანავე. დღ-ის ჩასათვლელი თანხა ზოგადად მიიღება გადასახდელი დღ-ის საფუძველზე, დღ-ის ინვოისის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული დღ-ის აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ხდება ნეტო საფუძველზე. როდესაც იქმნება მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მევალის საერთო თანხასთან მიმართებით, დღ-ის ჩათვლით.

2015 წლის 31 დეკემბრიდან ხელმძღვანელობა კომპანიის საგადასახადო ნაშთებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2015 წლის 7 დეკემბრით დათარიღებული N407 ბრძანების თანახმად.

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები

კომპანიას ვადაზე ადრე არ გამოუყენებია სხვა ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. სტანდარტებსა და ცვლილებებს, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ში: საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციაში;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად;
- ▶ ბასს (IAS) 7-სა და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები: ფინანსური შეთანხმებები მომწოდებლებთან.

2. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული:

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 21–ში – გადაცვლის შეუძლებლობა (ძალაში 2025 წლის 1 იანვრიდან).
- ▶ ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება – ფასს (IFRS) 9–ისა და ფასს (IFRS) 7–ის ცვლილებები (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან);
- ▶ ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის შესახებ ხელშეკრულებები – ფასს (IFRS) 9–სა და ფასს (IFRS) 7–ის ცვლილებები (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან);
- ▶ ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება – ფასს (IFRS) 9–ისა და ფასს (IFRS) 7–ის ცვლილებები (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან);
- ▶ ფასს (IFRS) 18 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან).

2024 წლის აპრილში ბასს–მა გამოუშვა ფასს 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 1–ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფასს 18–ს შემოაქვს ახალი მოთხოვნები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ინფორმაციის, მათ შორის კონკრეტული ჯამებისა და ქვეჯამების წარდგენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საწარმოებს ევალებათ ყველა შემოსავლისა და ხარჯის კლასიფიცირება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხუთიდან რომელიმე კატეგორიაში: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადები და შეწყვეტილი ოპერაციები. აქედან პირველი სამი კატეგორია ახალია.

იგი ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ ახლად განსაზღვრულ საქმიანობის შედეგების შეფასების საზომებს, შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამებს და მოიცავს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირებისა და დეზაგრეგირების ახალ მოთხოვნებს, ძირითადი ფინანსური ანგარიშგებებისა და მათზე დართული შენიშვნების კონკრეტული „როლების“ შესაბამისად. გარდა ამისა, ბასს 7–ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ შევიდა ვიწრო მიმართულების ცვლილებები, რომლებიც მოიცავს არაპირდაპირი მეთოდით წარმოებული ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის შეცვლას „მოგებიდან ან ზარალიდან“ „საოპერაციო მოგებაზე ან ზარალზე“ და დივიდენდებიდან პროცენტში ფულადი ნაკადების გადატანასთან დაკავშირებული არჩევითობის გაუქმებას. ამასთან, რამდენიმე სხვა სტანდარტში შევიდა სხვა ცვლილებებით გამოწვეული ცვლილებები. ფასს 18 და სხვა სტანდარტებში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება და ამის შესახებ ინფორმაცია უნდა გაცხადდეს. ფასს 18 იმოქმედებს რეტროსპექტიულად.

2. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

კომპანია ამჟამად ცდილობს განსაზღვროს ყველა გავლენა, რომელიც ამ ცვლილებებს ექნება ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ▶ ფასს 19 – „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები“ (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან).

ნებადართულია სტანდარტების ვადამდელი გამოყენება, მაგრამ სავალდებულოა ინფორმაციის გამჟღავნება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია მიმართავს გარკვეულ შეფასებებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ძირითადი საშუალებების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის დაშვებებზე, რომლებიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან მიმართებით წარსულში მიღებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. რომელიმე პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების კორექტირება.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების საწყისი აღიარება.

ჩვეული საქმიანობის პროცესში კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39–ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება მათი სამართლიანი ღირებულებით უნდა მოხდეს. თუ გარკვეული ოპერაციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, ხელმძღვანელობა თავად განსჯის, ეს ოპერაციები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით არის განფასებული თუ არასაბაზროთი. განსჯისას ხელმძღვანელობა ეყრდნობა დაუკავშირებელ (მისგან დამოუკიდებელ) მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეფუძნება კომპანიის მიერ კონკრეტული მომხმარებლისგან თანხების ამოღების შესაძლებლობის შეფასებას. თუ არსებობს ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესების ნიშნები, შესაბამისი მოთხოვნები გაუფასურებულად ჩაითვლება. ამგვარი გაუარესების ნიშნების დადგენის მთავარი კრიტერიუმია მომხმარებლების მიერ დავალიანების დაფარვის ხარისხი, რომელიც ფასდება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობით (ე.ი. რამდენი დღით დაგვიანდა გადახდა). კლიენტების მიერ მიმდინარე და ძველი დავალიანების დაფარვის შესაბამისი ანალიზის საფუძველზე კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გამოიყენება სათანადო დარეზერვების ნორმა, რომელიც ასახავს დავალიანების დაფარვის კონკრეტულ კატეგორიასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს. თუ ასეთი მტკიცებულება არ არსებობს, შესაბამისი მოთხოვნები ფასდება კოლექტიურად, როგორც კარგი ხარისხის მქონე, მაღალი საკრედიტო ხარისხის მქონე მოთხოვნებში, დეფოლტის შემთხვევაში ზარალისა და ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე, რაც ფაქტობრივად გულისხმობს ვადაგადაცილებული დღეების არაარსებით ოდენობას.

კოლექტიურად შეფასების მიზნებისთვის, ხელმძღვანელობის განსჯით, ისტორიულ ტენდენციებზე დაყრდნობით შეიძლება ზარალის პროგნოზირება და ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ანაზღაურებადი დავალიანების მოცულობის შესაფასებლად. კომპანია შეფასებების გადახედვას ახდენს თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს პროგნოზებისგან და კომპანიის შეფასება შეიძლება მომავალში გადაისინჯოს უარყოფითად ან დადებითად, იმისდა მიხედვით, თუ როგორია შედეგი ან მოლოდინი, დავალიანების გარშემო არსებული გარემოებების საფუძველზე.

შპს „რობერტ ბოში“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები – 2024 წლის 31 დეკემბერი

(რიცხვები ლარშია მოცემული)

4. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება			
1 იანვარი, 2023 წ.	83,466	166,648	250,114
შემოსვლები	30,599	144,431	175,030
გასვლები	(13,134)	(68,894)	(82,028)
31 დეკემბერი, 2023 წ.	100,931	242,185	343,116
შემოსვლები	4,735	–	4,735
გასვლები	(7,957)	–	(7,957)
31 დეკემბერი, 2024 წ.	97,709	242,185	339,894
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი, 2023 წ.	54,006	107,832	161,838
წლის დანარიცხი	16,714	30,892	47,606
გასვლები	(13,134)	(68,894)	(82,028)
31 დეკემბერი, 2023 წ.	57,586	69,830	127,416
წლის დანარიცხი	18,250	40,218	58,468
გასვლები	(7,957)	–	(7,957)
31 დეკემბერი, 2024 წ.	67,879	110,048	177,927
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	43,345	172,355	215,700
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	29,830	132,137	161,967

5. მარაგები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
გასაყიდად გამიზნული მარაგები	3,482,381	3,652,784
სხვა მარაგები	113,439	101,733
მარაგების ანარიცხები	(265,175)	(196,338)
მარაგები, სულ	3,330,645	3,558,179

გაყიდული მარაგების თვითღირებულებამ შეადგინა 21,620,103 ლარი (2023 წ.: 20,252,078 ლარი).
2024 წლის განმავლობაში კომპანიამ გაზარდა მარაგების მოძველებისთვის შექმნილი
ანარიცხები 68,837 ლარით (2023 წ.: 21,725 ლარით გაზარდა).

შპს „რობერტ ბოში“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები – 2024 წლის 31 დეკემბერი

(რიცხვები ლარშია მოცემული)

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
მესამე მხარეებისგან მისაღები სავაჭრო მოთხოვნები	1,015,926	938,909
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-18 შენიშვნა)	308,231	147,993
გამოკლებული: გაუფასურების ზარალის რეზერვი	(29,275)	(13,120)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,294,882	1,073,782

2024 წლის განმავლობაში, 16,155 ლარი დაერიცხა სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხებს
(2023 წ.: 62,851 ლარის დარიცხვა).

ქვემოთ აქტივების თითოეული კლასისთვის წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების
ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31 დეკემბერი, 2024 წ.	30 დღეზე ნაკლები	31 დღიდან 90 დღემდე	91 დღიდან 180 დღემდე	181 დღეზე მეტ	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დონე	1%	3%	5%	20%	2%
საბალანსო ღირებულება დეფოლტის დროს	780,878	468,269	49,356	25,654	1,324,157
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	7,809	14,048	2,363	5,055	29,275

31 დეკემბერი, 2023 წ.	30 დღეზე ნაკლები	31 დღიდან 90 დღემდე	91 დღიდან 180 დღემდე	181 დღეზე მეტ	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დონე	1%	1%	21%	20%	1%
საბალანსო ღირებულება დეფოლტის დროს	1,014,411	61,041	11,450	–	1,086,902
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	10,144	564	2,412	–	13,120

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფულადი სახსრები და
მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია ნაღდი ფულის ნაშთით ბანკში.

შპს „რობერტ ბოში“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები – 2024 წლის 31 დეკემბერი

(რიცხვები ლარშია მოცემული)

8. საწესდებო კაპიტალი

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, Robert Bosch Investment Nederland B.V. ფლობდა კაპიტალის 100%-ს. 2,636,275 ლარი სრულად იყო შეტანილი საწესდებო კაპიტალში ფულადი სახსრების სახით.

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და სრულად გადაიხადა 1,187,864 ლარის დივიდენდები (2023 წ.: 605,773 ლარი).

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ დარიცხა და გადაიხადა 209,623 ლარის მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე (2023 წ.: 106,901 ლარი).

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
სავაჭრო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ	156,123	128,935
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-18 შენიშვნა)	3,063,742	801,063
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,219,865	929,998

10. ამონაგები

	2024	2023
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	27,331,221	25,850,856
მომხმარებლებისთვის განკუთვნილი ფასდაკლებები და შეღავათები	(1,069,474)	(792,806)
სულ ამონაგები	26,261,747	25,058,050

„Robert Bosch GmbH“-თან გაფორმებული დისტრიბუციის ხელშეკრულების თანახმად, კომპანია ახდენს ელექტროხელსაწყოების და სათადარიგო ნაწილების იმპორტს საქართველოში, რომ შემდეგ გაყიდოს სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში. საქონლის გაყიდვა კომპანიის საქმიანობის ძირითადი შემოსავლიანი მიმართულებაა.

11. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის გაყიდული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია გაყიდული მარაგების თვითღირებულებით.

შპს „რობერტ ბოში“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები – 2024 წლის 31 დეკემბერი

(რიცხვები ლარშია მოცემული)

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
თანამშრომელთა ხელფასები	764,994	513,101
საკონსულტაციო მომსახურება დაკავშირებული მხარეებისგან (მე-18 შენიშვნა)	740,133	244,445
პრემიები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	248,020	262,003
ბიზნესის განვითარების სერვისები	184,712	146,794
კონსულტაციისა და აუდიტის გასამრჯელო	84,043	67,713
სხვა ხარჯები	49,209	39,147
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2,071,111	1,273,203

13. დისტრიბუციის ხარჯები

	2024	2023
საქონლის ტრანსპორტირება	479,174	478,354
საბაჟო საბროკერო მომსახურება	135,281	127,883
სულ დისტრიბუციის ხარჯები	614,455	606,237

14. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
გაყიდვების სტიმულირება და მარკეტინგი	(524,304)	(580,433)
საიჯარო ხარჯი	(357,800)	(340,623)
საკუროს სხვაობით განპირობებული ზარალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე	(103,735)	(97,730)
მივლინებები	(82,070)	(56,800)
დაზღვევა	(65,457)	(52,290)
მარაგების ანარიცხების დარიცხვა	(68,837)	(21,725)
ცვეთის ხარჯი	(58,468)	(41,524)
საოფისე და კომუნალური ხარჯები	(28,793)	(23,498)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის დარიცხვა	(27,437)	(62,851)
სხვა ხარჯები	(194,952)	(199,541)
სხვა საოპერაციო ხარჯები, სულ	(1,511,853)	(1,477,015)

15. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი გაწეული მარკეტინგული მომსახურებიდან	271,164	45,520
შემოსავალი გაწეული რეგიონული მომსახურებიდან	95,393	55,083
გარანტიების ანაზღაურება	83,818	–
სხვა	17,433	40,448
სხვა საოპერაციო შემოსავალი, სულ	467,808	141,051

16. პირობითი ვალდებულებები**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს განმარტებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების, საურავებისა და პროცენტის დაკისრების უფლება. საგადასახადო წლის შემოწმება საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში უფრო დიდი ხნის შემდეგაც.

ამ გარემოებებმა შეიძლება სხვა ბევრ ქვეყანაზე არსებითად უფრო მაღალი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება კომპანიის ინტერპრეტაციებისგან განსხვავდებოდეს და, მათი წარმატებით აღსრულების შემთხვევაში, ამან შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

17. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (მე-6 შენიშვნა)	1,294,882	1,073,782
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-7 შენიშვნა)	3,306,742	1,600,570
სულ	4,601,624	2,674,352
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (მე-9 შენიშვნა)	3,219,865	929,998
დასაქმებულებზე გასაცემი ხელფასები	180,115	113,843
სულ	3,399,980	1,043,841

ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას მეტწილად ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი ხასიათის გამო.

შპს „რობერტ ბოში“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები – 2024 წლის 31 დეკემბერი

(რიცხვები ლარშია მოცემული)

18. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მიმდინარე ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან ასე გამოიყურებოდა:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-6 შენიშვნა)		
– საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	308,231	147,993
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-9 შენიშვნა)		
– საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	3,063,742	801,063
დივიდენდების გადახდა (მე-8 შენიშვნა)		
– მშობელი საწარმო	1,187,864	605,773

მოთხოვნები არაუზრუნველყოფილია და პროცენტი არ ერიცხება. დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნებისთვის ანარიცხები არ არის შექმნილი.

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლისა და ხარჯის მუხლები ასე გამოიყურებოდა:

	2024	2023
მარაგების შესყიდვა		
– საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	21,057,763	20,665,668
მომსახურების ანაზღაურება		
– საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	450,375	223,494
პროფესიული მომსახურება (საკონსულტაციო მომსახურება) (მე-12 შენიშვნა)		
– საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	740,133	244,445

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებში შედის კომპანიის კომერციული დირექტორი. კომერციული დირექტორისთვის აღმასრულებელი ხელმძღვანელის თანამდებობაზე სრულ განაკვეთზე მუშაობაში გადახდილი ანაზღაურება შედგება საბაზისო ხელფასისგან, ფულადი პრემიისგან და სხვა სარგებლისგან. მთლიანი ანაზღაურება, რომელიც აისახა მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გაუტოლდა 213,823 ლარს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (2023 წ.: 170,491 ლარი).